ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №289825

ნომერი: AR168481

თარიღი : 25.07.2012

გაცემის თარიღი : 01.08.2012

გაცნობის თარიღი : 02.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიონის მოპირდაპირე მხარეს ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თათულაშვილი პ/ნ 01024004177
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 13ა ბ. 34

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს საგა იმპექსი კოდი: 205185235

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის დროებითი 2.0 მ. სიმაღლის ღობის მოწყობის და ტერიტორიის გასუფთავება-მოსწორების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, მიონის მოპირდაპირე მხარეს, შპს "საგა იმპექსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/095) დროებითი 2.0 მ. სიმაღლის ღობის მოწყობას და ტერიტორიის გასუფთავება-მოსწორებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”საგა იმპექსი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.13.02.003.095, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012297891 02.07.2012წ. შპს "საგა იმპექსი"-ს მიერ გაცემული მინდობილობა #18/07/12-1 17.07.2012წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა, მიონის მოპირდაპირე მხარეს, შპს "საგა იმპექსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/095) დროებითი 2.0 მ. სიმაღლის ღობის მოწყობის და ტერიტორიის გასუფთავება-მოსწორების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ღობე მოეწყოს შპს "საგა იმპექსი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge